საქართველოს მთავრობის განკარგულება

№748 2018 წლის 10 აპრილი ქ. თბილისი

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 14 დეკემბრის №891 განკარგულებით განსაზღვრულისგან განსხვავებული პირობების დადგენისა და ფ/პ ლაშა პაპაშვილის საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ივნისის №1044 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 14 დეკემბრის №891 განკარგულებით განსაზღვრულისგან განსხვავებული პირობების დადგენისა და ფ/პ ლაშა პაპაშვილის საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ივნისის №1044 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) არა უგვიანეს 2020 წლის 29 მაისისა „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 14 დეკემბრის №891 განკარგულებით გადაცემულ ქონებაზე არანაკლებ 100-ნომრიანი დასასვენებელი ტიპის სასტუმროს კომპლექსის მშენებლობის დასრულების, ექსპლუატაციაში მიღებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა შემდეგი ეტაპების მიხედვით:

ა.ა) სასტუმროს კომპლექსის მშენებლობის ნებართვის აღება 2014 წლის ბოლომდე;

ა.ბ) სასტუმროს კომპლექსის მშენებლობის დაწყება 2015 წელს;

ა.გ) სასტუმროს კომპლექსის მშენებლობის დასრულება, ექსპლუატაციაში მიღება და აღჭურვა არა უგვიანეს 2020 წლის 29 მაისისა;“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული დასასვენებელი ტიპის სასტუმროს კომპლექსის მშენებლობის დასრულების, ექსპლუატაციაში მიღებისა და აღჭურვის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 14 დეკემბრის №891 განკარგულების საფუძველზე, 2009 წლის 23 დეკემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან არანაკლებ 7 000 000 (შვიდი მილიონი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

ბ.ა) 23.12.2009 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის ბოლომდე არანაკლებ 626 530 (ექვსას ოცდაექვსი ათას ხუთას ოცდაათი) ლარის ოდენობის ინვესტიცია;

ბ.ბ) 23.12.2009 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის ბოლომდე არანაკლებ 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია;

ბ.გ) 23.12.2009 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 2020 წლის 29 მაისისა არანაკლებ 7 000 000 (შვიდი მილიონი) ლარის ოდენობის ინვესტიცია;".

2. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 14 დეკემბრის №891 განკარგულებით განსაზღვრულისაგან განსხვავებული პირობების დადგენისა და ფ/პ ლაშა პაპაშვილის საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ივნისის №1044 განკარგულების პირველი პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების შესრულების (მათ შორის, მათი შეუსრულებლობისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველყოფის მიზნით, შპს „აღობილმა" (ს/კ: 405004720) ამ განკარგულების პირველი პუნქტის საფუძველზე შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე წარადგინოს საინვესტიციო თანხის (7 000 000 (შვიდი მილიონი) ლარის) 10%-ის ოდენობის შეცვლილი/ახალი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც განსაზღვრული უნდა იყოს არანაკლებ 2020 წლის 29 სექტემბრის ჩათვლით.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**